სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/261

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019

„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესის“ დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის „ს“ ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-02/19 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შეიცვალოს „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ და დამტკიცდეს დანართში წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი);
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**

სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილების დანართი

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი

I. ზოგადი დებულებანი

1. „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანების, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133 ბრძანების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი განსაზღვრავს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (შემდგომში – უნივერსიტეტი) აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების (შემდგომში – პროგრამა), შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს.
3. საგანმანათლებლო პროგრამა (კურიკულუმი) არის უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის მისაღებად აუცილებელი სასწავლო კურსების/მოდულების/კონცენტრაციების ერთობლიობა, რომელშიც მოცემულია პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სასწავლო კურსები/მოდულები შესაბამისი კრედიტებით, სტუდენტთა შეფასების სისტემა და სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები.
4. პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესი უნდა იყოს ღია, გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობითი პროცესი, რომელშიც უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე – შესაბამისი დარგის აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, პროფესიული ასოციაციები და სხვა მხარეები (არსებობის შემთხვევაში).

II. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა

1. პროგრამა უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის მისიას და ეფუძნებოდეს დაინტერესებული მხარეების კვლევის ანალიზს.
2. პროგრამის საფუძველი შეიძლება გახდეს:
   2.1. ადგილობრივ ან/და საერთაშორისო ბაზარზე შესაბამისი პროფილის სპეციალისტებზე მოთხოვნილების წარმოქმნა/გაზრდა;
   2.2. საპროგნოზო ინფორმაცია ეკონომიკის, კულტურისა და სოციალური სფეროს განვითარების შესახებ, რაც განსაზღვრავს შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენტურობების მქონე სპეციალისტების საჭიროებას;
   2.3. ხელისუფლების ორგანოების სათანადო გადაწყვეტილება უმაღლესი განათლების სფეროში.

3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის საფუძველი შეიძლება გახდეს ასევე საქართველოს ან/და უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან, აგრეთვე დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთან შეთანხმება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ.
4. დაინტერესებული პირის/პირების მიერ შემუშავებული საინიციატივო წინადადება, რომელიც უნდა შეიცავდეს პროგრამის დასახელებას, სწავლების საფეხურს, მისანიჭებელ კვალიფიკაციას, სწავლების ენას, პროგრამის მიზანსა და უნივერსიტეტის მისიასთან მის კავშირს, განხილული უნდა იქნეს შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის სხდომაზე.
5. დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში საინიციატივო წინადადება და აკადემიური დეპარტამენტის სხდომის ოქმის ამონაწერი წარედგინება ფაკულტეტის დეკანსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსს. თანხმობის შემთხვევაში დეკანი უზრუნველყოფს საკითხის გატანას ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე.
6. ფაკულტეტის საბჭოზე განხილვისას შეიძლება გამოვლინდეს სხვა აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების თანამონაწილეობის აუცილებლობა.
7. ფაკულტეტის საბჭო, დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, აყალიბებს პროგრამის პროექტის შედგენაზე მომუშავე ჯგუფს (შემდგომში - ჯგუფი) და ნიშნავს ჯგუფის ლიდერს – პროგრამის დროებით ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს.
8. ჯგუფში შეიძლება შედიოდნენ:
   8.1. შესაბამისი დარგის აკადემიური და მოწვეული პერსონალის წარმომადგენლები;
   8.2. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი/კოორდინატორი;
   8.3. უნივერსიტეტის შესაბამისი პროფილის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის წარმომადგენელი/წარმომადგენლები;
   8.4. სტუდენტი/სტუდენტები;
   8.5. კურსდამთავრებული/კურსდამთავრებულები;
   8.6. როგორც პროფილური, ასევე სხვა დამსაქმებელი/დამსაქმებლები (პროგრამის პროექტის შედგენაში მონაწილე პერსონალის დასაბუთებული წინადადების შემთხვევაში);
   8.7. პროფესიული ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
   8.8. შესაბამისი პროფილის არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი (არსებობის შემთხვევაში);
   8.9. მენეჯერის სამსახურის წარმომადგენელი და სხვა პირები.
9. ჯგუფის მიერ პირველ რიგში უნდა ჩატარდეს შრომის ბაზრის ანალიზი:
   9.1. დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიული საქმიანობის პოტენციური სფეროები. დადგინდეს საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები (შემდგომში ორგანიზაციები), სადაც შეეძლებათ იმუშაონ კურსდამთავრებულებმა;
   9.2. უშუალოდ დამსაქმებლებისაგან შეგროვდეს ინფორმაცია კურსდამთავრებულებზე მიმდინარე და საპროგნოზო (უახლოესი წლების განმავლობაში და პერსპექტივაში) მოთხოვნილების არსებობის შესახებ;
   9.3. მიღებულ იქნეს სათანადო ინფორმაცია და კონსულტაცია პროფესიული ასოციაციისაგან/ასოციაციებისაგან (არსებობის შემთხვევაში).
10. ჯგუფის მიერ სარწმუნო ინფორმაციის მოპოვების შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით ჯგუფი იწყებს პროგრამის პროექტის შემუშავებას. მუშაობის პროცესში პროგრამის დროებითი ხელმძღვანელი კონსულტაციებს ღებულობს დეკანისაგან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისაგან, აკადემიური დეპარტამენტების უფროსებისაგან.

III. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება

1. **პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**
   1. პროგრამა უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე დოკუმენტით დადგენილ მინიმალურ მოთხოვნებს და მასში მითითებული უნდა იყოს:
      - პროგრამის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცების აქტის რეკვიზიტები;
      - უნივერსიტეტის სახელწოდება „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“ (ქართულად და ინგლისურად);
      - პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
      - ფაკულტეტის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად);
      - პროგრამის ხემძღვანელის/ხელმძღვანელების აკადემიური თანამდებობა, სახელი და გვარი;
      - მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად) და პროგრამის მოცულობა კრედიტებით;
      - სწავლების ენა/ენები;
      - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა;
      - პროგრამის აღწერა;
      - პროგრამის მიზანი;
      - სწავლის შედეგები;
      - სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები;
      - სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა;
      - დასაქმების სფერო;
      - სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა;
      - პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი;
      - თანდართული სილაბუსების რაოდენობა;
      - პროგრამის საგნობრივი დატვირთვა;
      - პროგრამის სასწავლო გეგმა.
   2. პროგრამას ხელს უნდა აწერდნენ:
      - პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები;
      - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
      - ფაკულტეტის დეკანი;
      - სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი („შეთანხმებულია“);
      - ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე.
   3. პროგრამის დანართებად წარმოდგენილი უნდა იყოს:
      - პროგრამის სწავლის შედეგები;
      - პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა.
   4. პროგრამას უნდა დაერთოს:
      - სასწავლო კურსის პროგრამები (სილაბუსები);
      - ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ (გვარი, სახელი, სტატუსი (აკადემიური თანამდებობა/სამეცნიერო თანამდებობა/მოწვეული პერსონალი, ბიოგრაფიული მონაცემები (CV);
      - ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ.
      -

5. **მისანიჭებელი კვალიფიკაცია და პროგრამის მოცულობა კრედიტებით**

- პროგრამის სახელწოდება შესაძლებელია არ ემთხვეოდეს მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს/კვალიფიკაციას;
- მისანიჭებელი კვალიფიკაციის სახელწოდება უნდა შეესაბამებოდეს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს;
- შემუშავებული პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა უნდა შეესაბამებამებოდეს სწავლების საფეხურს;
- პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი შესაბამისობაში უნდა იყოს მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. იგი უნდა უზრუნველყოფდეს მისი შემადგენელი ყველა კომპონენტის ლოგიკურ კავშირს და საშუალო აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას გონივრულ ვადაში;
- პროგრამაში შემავალი სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები (მათ შორის, თითოეული სასწავლო კურსი) უნდა იყოს თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები უნდა იყოს ადეკვატური;
- პროგრამა აგებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემის შესაბამისად;
- პროგრამის კომპონენტის მოცულობის განსაზღვრა უნდა ხდებოდეს მისი შინაარსის, სწავლის შედეგებისა და დარგის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- ჯგუფმა უნდა გაითვალისწინოს, რომ კრედიტი ნაწილდება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ თითოეულ კომპონენტს შორის და მოიცავს კონკრეტული კომპონენტით მისაღწევი სწავლის შედეგებისთვის საჭირო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათს. კრედიტი არ შეიძლება იქნეს გაანგარიშებული მხოლოდ საკონტაქტო საათების მიხედვით; ასევე გასათვალისწინებელია, რომ სასწავლო კომპონენტი არის ერთსემესტრიანი.
- კრედიტის გაანგარიშებისას არ უნდა იყოს გათვალისწინებული დამატებითი გამოცდისთვის (მომზადება, ჩაბარება, შეფასება) განსაზღვრული დრო, აგრეთვე საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის განმახორციელებელ პირთან საკონსულტაციო დრო;
- სტუ-ში ერთი და იგივე შინაარსის, მოცულობისა და სწავლის შედეგის მქონე სასწავლო კომპონენტი ყველა პროგრამის სტუდენტისათვის უნდა მოიცავდეს თანაბარი რაოდენობის კრედიტებს;
- პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს ახალი კვლევის შედეგებს და დარგის თანამედროვე მიღწევებს;
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა უნდა უზრუნველყოფდეს საგანმანათ-ლებლო პროგრამის თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას;
- მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი უნდა უზრუნველყოფდეს თავისუფალი კომპონენტების ფარგლებში არჩევითობას.

6. **სწავლების ენა/ენები;**

- პროგრამა შეიძლება განხორციელდეს ქართულ ან უცხოურ ენაზე;
- პროგრამა შეიძლება ასევე განხორციელდეს ქართულ და რომელიმე უცხოურ ენაზე. ამ შემთხვევაში მიეთითება სწავლების ენები;

- პროგრამის მხოლოდ უცხოურ ენაზე წარმართვა დაშვებულია, თუ ეს გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით, ან შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან;
- უცხოურ ენაზე დასაშვებია პროგრამის ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეთავაზება, მისი გავლის წინაპირობად უცხოური ენის ფლობის დადგენა და გამოსაყენებელი ლიტერატურის უცხოურ ენაზე მითითება;
- უცხოენოვანი პროგრამის აღწერილობა და სილაბუსები მზადდება როგორც ქართულ, ისე უცხოურ ენაზე;
- უცხოურ ენაზე პროგრამის და სილაბუსების მომზადებას უზრუნველყოფს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი.
- უცხოურ ენაზე მომზადებული პროგრამის და სილაბუსების რედაქტირებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაცია.

7. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**
   - პროგრამაზე დაშვების წინაპირობა/წინაპირობები უნდა ითვალისწინებდეს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფდეს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვას;
   - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად უნდა იყოს დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან;
   - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ კანონმდებლობას;
   - პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უნდა იყოს გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი.

8. **პროგრამის აღწერა**

   პროგრამაში ასახული უნდა იყოს:
   - პროგრამის შექმნის საფუძველი;
   - კრედიტების, აგრეთვე სწავლების წლებისა და სემესტრების რაოდენობა;
   - სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოში აღწერილ განზოგადებულ სწავლის შედეგებთან;
   - ინფორმაცია სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისათვის, მათ შორის, კომპონენტებისთვის განსაზღვრული კრედიტების თანაფარდობის შესახებ;
   - ინფორმაცია პრაქტიკისა და კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების დანიშნულებისა და მოცულობის შესახებ.

9. **პროგრამის მიზნები**
   - ნათლად უნდა იყოს ჩამოყალიბებული, უნდა იყოს რეალისტური და მიღწევადი;
   - უნდა ასახავდეს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
   - უნდა ასახავდეს, თუ რა წვლილი შეაქვს პროგრამას დარგისა და საზოგადოების განვითარებაში;
   - უნდა შეესაბამებოდეს უნივერსიტეტის, ფაკულტეტის/სკოლის და/ან აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას;
   - უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების/დარგის, სახელმწიფოს

ან/და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს;

- უნდა იყოს საჯარო და ხელმისაწვდომი;
- გაზიარებული უნდა იყოს პროგრამაში ჩართული პირების მიერ;
- პროგრამის მიზნებში ასახული უნდა იყოს პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

10. სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგების განსაზღვრისას უნდა გაანალიზდეს შესაბამისი დარგის პროფესიული საქმიანობის სტანდარტები (არსებობის შემთხვევაში) და გამოიყოს ის სტანდარტები, რომლებიც უშუალო კავშირშია ახალი პროგრამის კურსდამთავრებულთა მომავალ პროფესიულ საქმიანობასთან;
- კომპეტენტურობების ჩამოყალიბებისას ჯგუფმა უნდა ისარგებლოს დარგობრივ და პროფესიულ სტანდარტებში მოცემული კომპეტენტურობების ნუსხით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და საჭიროებისას განსაზღვროს ახალი კომპეტენტურობები, რაც დასჭირდება კურსდამთავრებულს პროფესიული ფუნქციების შესასრულებლად. სტანდარტული ნუსხის არარსებობისას ან/და ახალი კომპეტენტურობების დამატების საჭიროებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პოტენციური დამსაქმებლის ან დამკვეთის მაქსიმალური ჩართულობა. ამ მიზნით ჯგუფმა უნდა გამოიყენოს შესაბამისი კითხვარები;
- პროგრამის სწავლის შედეგები უნდა
  - შეესაბამებოდეს პროგრამის მიზნებს, მათ შორის უნდა იყოს ლოგიკური კავშირი;
  - მოიცავდეს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას;
  - იყოს გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური;
  - უნდა შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის შესაბამის დონეს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას;
  - ეყრდნობოდეს კვალიფიკაციების ჩარჩოს საფუძველზე შემუშავებულ დარგობრივ მახასიათებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - შეესაბამებოდეს პროგრამის კურსდამთავრებულთა პროფესიით დასაქმების სფეროების მოთხოვნებს და იძლეოდეს განათლების შემდეგ საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
- ჯგუფმა უნდა შეადგინოს სწავლის შედეგების რუკა შესაბამისი სწავლების დონის საგანმანათლებლო პროგრამის სტუ-ს მიერ დამტკიცებული ფორმის თანახმად.

11. სწავლის შედეგების მიღწევის (სწავლება-სწავლის) მეთოდები

- საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები უნდა ითვალისწინებდეს დარგის სპეციფიკას და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას;
- უნდა განისაზღვროს სასწავლო კურსის განმახორციელებელი პირის მიერ სტუდენ-ტისათვის პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი ცოდნის გადაცემის მეთოდები (საშუალებები), როგორიცაა: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, ლაბორატორიული მეცადინეობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვ., აგრეთვე, კონსულტაცია და დამოუკიდებელი მუშაობა. გარდა ამისა, განისაზღვრება სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები: დისკუსია, დებატები,

დემონსტრირება, პრეზენტაცია, ჯგუფური მუშაობა, თემატური პროექტის შესრულება, საკურსო სამუშაოს/პროექტის, საშინაო დავალების შესრულება და სხვ;

- სწავლება-სწავლის მეთოდები ასახული უნდა იყოს სასწავლო კურსის პროგრამაში - სილაბუსში.

12. **სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა**

- საქართველოს კანონმდებლობით შეფასების სისტემის ფარგლებში შეფასების თითოეული ფორმისათვის უნდა განისაზღვროს შეფასების კომპონენტი/კომპონენტები, მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.
- შეფასების ფორმებს, კომპონენტებს, მეთოდებსა და შესაბამის კრიტერიუმებს სილაბუსის ავტორი ირჩევს სწავლების საფეხურისა და სასწავლო კურსის სპეციფიკის, აგრეთვე სწავლება-სწავლის გამოყენებული მეთოდების შესაბამისად.

13. **დასაქმების სფერო**

უნდა ჩამოითვალოს დასაქმების მსხვილი ობიექტები და საწარმოთა/დაწესებულებათა ქსელები სამართლებრივი ფორმის მიუხედავად.

14. **სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა**

უნდა დასახელდეს, თუ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოთი განსაზღვრული კვალიფიკაციის რომელი დონის შესაბამის პროგრამაზე შეუძლია სწავლის გაგრძელება კურსდამთავრებულს.

15. **პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალური რესურსი**

- უნდა შეფასდეს ფაკულტეტზე/უნივერსიტეტში არსებული ადამიანური (აკადემიური პერსონალი, მოწვეული პროფესორები, მასწავლებლები, დამხმარე პერსონალი), მეთოდური (სახელმძღვანელოები, დამხმარე სახელმძღვანელოები, მეთოდური მითითებები, ლექციების კურსები და სხვ.), მატერიალურ-ტექნიკური (შენობები, აუდიტორიები, კაბინეტები, ლაბორატორიები და სხვ.), საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობის თვალსაზრისით. თუ რესურსები არ არის საკმარისი - შესწავლილ იქნეს პროგრამის განხორციელების პერსპექტივა სხვა რესურსების მოზიდვის გზით;
- პროგრამის ფინანსური შემოსავალი, სტუდენტთა საპროგნოზო კონტინგენტიდან გამომდინარე, უნდა ფარავდეს ყველა მიმდინარე ხარჯებს (პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები, მასალები, რეაქტივები და სხვ.) და გადასახადებს, აგრეთვე უზრუნველყოფდეს კაპიტალური დანახარჯების (მაგ., ლაბორატორიული ხელსაწყოების, კომპიუტერებისა და მათი პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა, ექსპლუატაცია და სხვ.), კვლევების დაფინანსებისა და პროგრამის განვითარებისათვის აუცილებელი სხვა ხარჯების გაწევის შესაძლებლობას;
- პროგრამის მდგრადობის შეფასებისას უნდა განისაზღვროს ძლიერი მხარეები და დადგინდეს გასაუმჯობესებელი მხარეები.

16. **სასწავლო კურსების პროგრამების - სილაბუსების შემუშავება:**

- საგანმანათლებლო პროგრამის უმთავრესი შემადგენელი ნაწილი – სასწავლო კურსის პროგრამა (სილაბუსი) შედგენილი უნდა იყოს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დადგენილი ფორმითა და წესით;
- აუცილებელია ფორმაში მოცემული ყველა პუნქტის შევსება;
- სილაბუსის ავტორს უფლება აქვს დამოუკიდებლად განსაზღვროს სილაბუსის შინაარსი, სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით სილაბუსში შეიტანოს დამატებითი ინფორმაცია ან თითოეული პუნქტის შინაარსთან დაკავშირებული მოკლე განმარტებები, აგრეთვე, დამოუკიდებლად განსაზღვროს სწავლება-სწავლის მეთოდები და აქტივობები, შეფასების კომპონენტები და მეთოდები და სხვა პარამეტრები;
- სილაბუსის მომზადების პროცესს კოორდინირებას უწევენ: ფაკულტეტის დონეზე – დეკანატი, შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტი/დეპარტამენტები, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; საუნივერსიტეტო დონეზე – უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სწავლების დეპარტამენტი.

IV. საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცება

1. პროგრამის პროექტი განხილული და შეფასებული უნდა იქნეს აკადემიური დეპარტამენტის/დეპარტამენტების სხდომაზე/სხდომებზე, ხოლო შემდეგ – დეკანისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შეთანხმებული პროგრამის პროექტი განსახილველად უნდა გადაეცეს დამსაქმებლებს და პროფესიულ ასოციაციას, ასევე განთავსდეს ფაკულტეტის ვებგვერდზე. შემოსული წინადადებები განიხილება იგივე თანმიმდევრობით. სასურველია, აღნიშნულ განხილვებს ესწრებოდნენ დამსაქმებელთა წარმომადგენლები.
2. პროგრამის პროექტის შეფასებისა და კორექტირების შემდეგ ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათთან ერთად იგი გადაეცემა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შესათანხმებლად. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ამოწმებს პროგრამის პროექტის შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებთან და წერილობით დასკვნას გადასცემს ფაკულტეტის დეკანს.
3. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროგრამის დროებითი ხელმძღვანელი და პროგრამის შედგენასთან დაკავშირებული სხვა პირები, საჭიროების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, მსჯელობენ დასკვნაში მოცემულ შენიშვნებზე და შეაქვთ სათანადო შესწორებები პროგრამის პროექტში;
4. შეთანხმებულ პროგრამის პროექტს პროგრამის დეკანი წარადგენს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე. ფაკულტეტის საბჭოს დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში, ხელმოწერილ პროგრამის პროექტს დეკანი წარადგენს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.
5. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერის შემდეგ, დეკანი შესაბამის მოხსენებითი ბარათს, ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერს და პროგრამის პროექტს წარუდგენს რექტორს, რომელიც მას გადასცემს აკადემიურ საბჭოს განხილვისა და დამტკიცების მიზნით. აკადემიურ საბჭოს სხდომაზე საკითხი გააქვს დეკანს; განხილვას უნდა დაესწრონ უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ხელმძღვანელები, პროგრამის

დროებითი ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და რექტორის გადაწყვეტილებით მოწვეული პირები.

6. აკადემიური საბჭო განიხილავს პროგრამის პროექტს და დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში ამტკიცებს პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელს/ხელ-მძღვანელებს, აგრეთვე ღებულობს გადაწყვეტილებას პროგრამის სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის ან ავტორიზაციის მიზნით წარდგენის თაობაზე. გასათვალისწინებელია, რომ რეგულირებადი, მასწავლებლის მომზადებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შესაძლებელია მხოლოდ აკრედიტაციის გავლის შემთხვევაში.
7. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამას ასახავს შესაბამის რეესტრში და უზრუნველყოფს აკრედიტაციის ან ავტორიზაციის მიზნით მის წარდგენას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი დებულების მოთხოვნების დაცვით.
8. აკრედიტაციის ან ავტორიზაციის საბჭოს მიერ დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამას შეინახავს არსებული წესით, ხოლო მის დამოწმებულ ასლებს გადასცემს სწავლების დეპარტამენტს და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აგრეთვე უზრუნველყოფს შესაბამისი მონაცემების შეტანას საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და მის ხელმისაწვდომობას (მათ შორის, უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებით). ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასევე ასახავს პროგრამას საკუთარ რეესტრში და შეინახავს არსებული წესით, ხოლო მის დამოწმებულ ასლს/ასლებს გადასცემს დეკანატს (საგანმანათლებლო პროგრამების კურატორს), პროგრამის ხელმძღვანელს/ხელმძღვანელებს და შესაბამის აკადემიურ დეპარტამენტს/დეპარტამენტებს, აგრეთვე უზრუნველყოფს მის განთავსებას ფაკულტეტის ვებგვერდზე.

V. პროგრამის ხელმძღვანელის სტატუსი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის, მაგისტრატურის, ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი არის პროგრამის შინაარსსა და ხარისხზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც:
   - უძღვება პროგრამის შემუშავებისა და მისი განვითარების პროცესებს.
   - უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან.
   - უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების (საგნების) შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და შედეგებთან.
   - მონაწილეობს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის (სათანადოდ აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორიები, სალექციო აუდიტორიები, სახელმძღვანელოები და ა.შ.) და პროგრამის (ან მისი რომელიმე კომპონენტის) ურთიერთშესაბამისობის შეფასებაში.
   - თანამშრომლობს დამსაქმებლებთან, დარგის საწარმოებთან, პროფესიულ ასოციაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან დარგის მოთხოვნათა შესაბამისად პროგრამის განვითარების მიზნით.
2. პირი არ შეიძლება იყოს რომელიმე უმაღლესი საგანმანათლებლო საფეხურის ერთზე მეტი პროგრამის (გარდა სწავლების სხვადასხვა ენისათვის შედგენილი ანალოგიური

პროგრამებისა) ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელობა პირს ეთვლება მეთოდური მუშაობის კომპონენტად.

3. პროგრამის ხელმძღვანელი, როგორც წესი, შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სათანადო კვალიფიკაციის მქონე პროფესორი.
4. პროგრამას და მის ხელმძღვანელს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, არსებული წესის თანახმად.
5. პროგრამის ხელმძღვანელი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის საბჭოსა და აკადემიური საბჭოს წინაშე.
6. პროგრამაში სერიოზული ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, რამაც გამოიწვია უარყოფითი გარე შეფასება ან/და აკრედიტაციის/ავტორიზაციის საბჭოს უარი, განიხილება პროგრამის ხელმძღვანელის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხი.

VI. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და განვითარება

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, რექტორის ბრძანებისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, თითოეულ ფაკულტეტზე იქმნება კომისია (შემდგომში – კომისია). კომისიის თავმჯდომარეა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.
2. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას.
3. კომისია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები მოითხოვოს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური დეპარტამენტებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან.
4. პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ პროგრამა უზრუნველყოფდეს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.
5. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმებია:
   - პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების გამოკითხვის შედეგები;
   - სტუდენტების დასწრების-აქტივობის მონიტორინგის შედეგები;
   - სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგები;
   - პროგრამიდან განთესვისა და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი;
   - პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების მაჩვენებელი და მათი გამოკითხვის შედეგები;
   - დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები;
   - სტუდენტების გამოკითხვის შედეგები;
   - პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები;
   - გარე შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში);
   - სხვა დაინტერესებული მხარეების (მაგ., პროფესიული ასოციაცია) მიერ გაკეთებული შეფასების შედეგები (არსებობის შემთხვევაში).
6. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების შედეგების საფუძველზე კომისია შეიმუშავებს რეკომენდაციებს პროგრამის ან მისი კომპონენტ(ებ)ის გასაუმჯობესებლად. განისაზღვრება

აგრეთვე რეკომენდაციების შესაბამისი აქტივობები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

7. პროგრამის მოდიფიცირების საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი:
   - პროგრამის შეფასების შედეგები;
   - პროგრამის კურსდამთავრებულების მიმართ წაყენებული მოთხოვნების ცვლილება;
   - პროგრამის სახელწოდების ცვლილების აუცილებლობა;
   - კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება;
   - სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის ცვლილების აუცილებლობა;
   - პროგრამის ძირითადი კომპონენტების კრედიტების ცვლილების აუცილებლობა;
   - პროგრამის განვითარებისთვის საჭირო რესურსების ცვლილება;
   - სასწავლო კურსების პროგრამების – სილაბუსების შინაარსის ცვლილება.
8. პროგრამის მოდიფიცირების ეტაპები შეიძლება იყოს შემდეგი:
   - საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულების მიმართ წაყენებული მოთხოვნების დაზუსტება;
   - მისანიჭებელი კვალიფიკაციის კორექტირება/დაზუსტება;
   - პროგრამის სწავლის შედეგების კორექტირება/დაზუსტება;
   - პროგრამის ძირითადი კომპონენტების მოცულობის კორექტირება/ დაზუსტება;
   - სწავლება-სწავლის მეთოდების კორექტირება/დაზუსტება;
   - სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის კორექტირება/დაზუსტება;
   - პროგრამის განხორციელებისა და განვითარებისთვის საჭირო რესურსის არსებობის დაზუსტება;
   - პროგრამის მდგრადობის პროგნოზირება;
   - სასწავლო კურსების პროგრამებში – სილაბუსებში ცვლილების შეტანა;
   - შეცვლილი პროგრამის პროექტის შემუშავება;
   - შეცვლილი პროგრამის პროექტის განხილვა და შეფასება საფაკულტეტო დონეზე;
   - შეცვლილი პროგრამის პროექტის განხილვა და დამტკიცება საუნივერსიტეტო დონეზე;
   - პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში ცვლილებების ასახვა თვითშეფასების კითხვარში;
   - პროგრამაში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანის შემთხვევაში მისი წარდგენა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში აკრედიტაციის ან ავტორიზაციის მიზნით.
9. პროგრამის მოდიფიცირების ეტაპებზე ცალკეული პროცედურები შეიძლება იყოს ახალი პროგრამის დამტკიცების ანალოგიური.
10. მოდიფიცირების შესახებ ინფორმაცია დაუყონებლივ უნდა აისახოს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგში და განთავსდეს ვებგვერდზე.
11. პროგრამის გაუქმების საფუძველი შეიძლება იყოს შემდეგი:
    - პროგრამის შეფასების შედეგები;
    - კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება;
    - პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნილების არარსებობა ან მკვეთრად შემცირება;
    - პროგრამაზე დარეგისტრირებული აბიტურიენტების და ჩარიცხული სტუდენტების სიმცირე;
    - პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შემცირება;
    - პროგრამის არამდგრადობა;
    - კომისიის მიერ ობიექტური მონაცემებით დასაბუთებული სხვა გარემოება.
12. პროგრამის გაუქმების ეტაპები შეიძლება იყოს შემდეგი:

- პროგრამის კურსდამთავრებულებზე მოთხოვნილების დაზუსტება;
- პროგრამაზე აბიტურიენტების რეგისტრირაციისა და სტუდენტების ჩარიცხვის მაჩვენებლების ანალიზი;
- პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსის არსებობის დაზუსტება;
- პროგრამის მდგრადობის პროგნოზირება;
- დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, სხვა დაინტერესებული პირების გამოკითხვის შედეგები;
- პროფესიულ ასოციაციასთან კონსულტაციის შედეგები.

13. პროგრამის მოდიფიცირების/გაუქმების შემთხვევაში უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს სტუდენტთა კანონიერი ინტერესები და სტუდენტს მისცეს პროგრამის შეუფერხებლად დასრულების შესაძლებლობა.
14. პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში, უნივერსიტეტმა უნდა შეატყობინოს სტუდენტებს პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების თაობაზე, ასევე მათ მიერ გავლილი კრედიტების მოდიფიცირებულ პროგამასთან შესაბამისობისა და სპეციალურად შექმნილი ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესახებ. სტუდენტებს ასევე განემარტებათ პარტნიორი უნივერსიტეტების პროგრამების, მობილობის წესის, პროცედურისა და ვადების შესახებ.